

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

პლაგიატიზმის თავიდან აცილების მიზნით, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში, წინამდებარე წესი განსაზღვრავს დაზუსტებულ მოთხოვნებს სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომებისა და სწავლების პროცესში შესრულებული სხვა წერილობითი ნაშრომების მიმართ (რეფერატი, ესე, პროექტი და სხვ). შესრულებული ყველა ნაშრომი სავალდებულო წესით იტვირთება Turnitin ბაზაში და მოწმდება პლაგიატზე.

ნაშრომების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ Turnitin პროგრამაში და ასევე გააფრთხილონ პროგრამაში დარეგისტრირების ვალდებულების შესახებ ყველა ის სტუდენტი, რომლებიც მათი ხელმძღვანელობით ამზადებენ ნაშრომს. იმის გათვალისწინებით, რომ Turnitin არის პლაგიატის აღმოჩენის მხოლოდ ერთ-ერთი მექანიზმი, რომელმაც შეიძლება დაუშვას გარკვეული სახის ცდომილება, თითოეულმა ხელმძღვანელმა პლაგიატის განსაზღვრისას უნდა ისარგებლოს პლაგიატიზმის ხარისხის განსაზღვრის ქვემოთ მითითებული კრიტერიუმებით (The Plagiarism Spectrum) და, ასევე, ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტს, რომ პროგრამა მას აძლევს საშუალებას რამდენჯერმე გადაამოწმოს ნაშრომი და დააკორექტიროს აღმოჩენილი პლაგიატის შემთხვევები ნაშრომის საბოლოო ვერსიის ატვირთვამდე.

Turnitin -ზე ატვირთული ნაშრომის საბოლოო ვერსია კორექტირებას არ ექვემდებარება.

სკოლის ფარგლებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების, ასევე სწავლების პროცესში შესრულებული სხვა წერილობითი ნაშრომების (რეფერატი, ესე, პროექტი და სხვ) შემოწმებისას პლაგიატად მიიჩნევა ქვემოთ დასახელებული კრიტერიუმების შესაბამისად ფიქსირებული დარღვევების 10% და მეტი. 10%-მდე პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაში, ნაშრომი ექვემდებარება ხელახალ გადამუშავებას. ფიქსირებული დარღვევების 10%-ზე მეტის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე.

სკოლის ფარგლებში პლაგიატიზმის ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები (დადგენილია მსოფლიოს სხვადასხვა უსდ-ს 900 პედაგოგის კვლევის საფუძველზე)

- Clone - სხვისი ნაშრომის სიტყვასიტყვითი გადმოტანა და საკუთარ ინტელექტუალურ ნაშრომად წარდგენა (10-დან 9.5)
- CTRL- C - ტექსტში სხვა წყაროდან მნიშვნელოვანი ნაწილის გადმოტანა ცვლილებების გარეშე (10-დან 8.9)
- Find - Replace – საკვანძო სიტყვების შეცვლა ძირითადი შინაარსის ცვლილების გარეშე (10-დან 3.9)
- Remix – სხვადასხვა წყაროდან მოძიებული და პერიფრაზირებული მასალის კომბინირება (10-დან 5.6)
- Recycle - საკუთარი ძველი ნაშრომიდან მასალის ახალ ნაშრომში გადმოტანა ციტირების გარეშე (10-დან 5.5)

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

- Hybrid – სწორად ციტირებული წყაროების კომბინირება ტექსტის კოპირებულ მონაკვეთებთან (10-დან 5)
- Mashup – სხვადასხვა წყაროდან კოპირებული მასალის კომბინირება (10-დან 9.1)
- 404 Error - არარსებულ წყაროთა ციტირება ან წყაროთა შესახებ მცდარი ინფორმაციის გამოყენება (10-დან 6)
- RSS Feed - წყაროთა ციტირების სათანადო ნორმების გამოყენება ორიგინალთან დამთხვევის გარეშე (10-დან 2.8)
- Re-tweet – ციტირების სათანადო ნორმების გამოყენება ორიგინალის ტექსტის სიტყვათწყობასთან და/ან სტრუქტურასთან თანხვედრის გარეშე (10-დან 4.4)